

11/11/2024



MES 5 24 0001445451

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 01.11.2024

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 19:00 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე

საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 27²-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- 1. თამარ ლომინაძე** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
- 2. გოჩა თუთბერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
- 3. დავით ტეფნაძე** - შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
- 4. გიორგი ლაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი; სხდომას შემოუერთდა მეორე საკითხიდან.
- 5. დავით გეგეჭკორი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
- 6. ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
- 7. აკაკი ხელაძე** – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
- 8. ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
- 9. თამარ ტუფინაშვილი** – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის“ აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
- 10. ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

11. დიმიტრი ჯაფარიძე – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;

12. ხათუნა თოდაძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

13. დიანა მჭედლიშვილი – შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;

14. ნინო ჭალაგანიძე – შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

15. ქეთევან ნანობაშვილი – შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

16. გიორგი მირიანაშვილი – შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

გვანცა ძიძიგური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები (დაწესებულება, სახელი, გვარი, პოზიცია)

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი:

დავით კერესელიძე - აკადემიური საბჭოს წევრი;

მარინა ვაშაყმაძე - მულტიმედია ჟურნალიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;

ნიკო ნერგაძე - აკადემიური პერსონალი.

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ:

თეონა მაისურაძე - ბიზნესის ადმინისტრირების და აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების EMBA (ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი) სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

რუსუდან ბერიაშვილი - ბიზნესის ადმინისტრირების (ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი) და გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი;

დავით ჩახვაშვილი - მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;

გოდერძი ბუჩაშვილი - ვიცე რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით;

გიორგი ღავთაძე - ვიცე რექტორი აკადემიური მიმართულებით;

ნონა ზუმბაძე - ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი:

ნატო ქობულაძე - "სკოლამდელი განათლების" პროგრამის ხელმძღვანელი, ასოც. პროფესორი;

დალი ბერაძე - განათლების მიმართულების კოორდინატორი, ასოც. პროფესორი;

ქეთევან ლატარია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ასოც. პროფესორი;

იაგორ ბაღანჩივაძე - კურსის განმახორციელებელი პერსონალი.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი:

მერაბ თოფურია - მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის დირექტორი;

მირიან ტაბიძე - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი;

არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

მეგი ლემონჯავა - მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;

ირინე იორამაშვილი - მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი;

თეონა ლაბარტყავა - მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტები

ზაზა ცოტნიაშვილი – I საკითხი;

მაგდა მემანიშვილი - I საკითხი;

ქრისტინე ჩიხლაძე - I საკითხი;

დიმიტრი ცანავა – I საკითხი;

დავით სიხარულიძე - II საკითხი;

თამაზ უზუნაშვილი - II საკითხი;

თამარ კბილაძე - II საკითხი;

ია ნაცვლიშვილი - II საკითხი;

ქეთევან ქავთარაძე - II საკითხი;

გიორგი არქანია - II საკითხი;

ქეთევან აფთარაშვილი - III საკითხი;

ავთანდილ თავხელიძე - III საკითხი.

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, პირველი და მესამე საკითხის განხილვის პერიოდში სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "მულტიმედია ჟურნალიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს "ბიზნეს ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნეს ადმინისტრირების" საბაკალავრო ინგლისურენოვანი, "გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის" საბაკალავრო ინგლისურენოვანი, "მენეჯმენტის" საბაკალავრო და "ბიზნეს ადმინისტრირების" სამაგისტრო, "ბიზნეს ადმინისტრირების" სამაგისტრო ინგლისურენოვანი,

"აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA)" სამაგისტრო, "აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA)" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ნაწილაკების ექსპერიმენტული ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "მულტიმედია ჟურნალიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს "ბიზნეს ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნეს ადმინისტრირების" საბაკალავრო ინგლისურენოვანი, "გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის" საბაკალავრო ინგლისურენოვანი, "მენეჯმენტის" საბაკალავრო და "ბიზნეს ადმინისტრირების" სამაგისტრო, "ბიზნეს ადმინისტრირების" სამაგისტრო ინგლისურენოვანი, "აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA)" სამაგისტრო, "აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA)" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის "სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ნაწილაკების ექსპერიმენტული ფიზიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "მულტიმედია ჟურნალიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1.საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება- მულტიმედია ჟურნალიზმი

2.საფეხური- ბაკალავრიატი

3.სწავლების ენა-ქართული

4.მისანიჭებელიკვალიფიკაცია-მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი

5.დეტალურისფეროს კოდი- 0321.1.2 მასობრივი კომუნიკაცია (ფორმულირება და შინაარსი)

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცხადება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხადება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, ედრიან ჰედლანდი, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ვიზიტი შედგა 2024 წლის მაისში. მისი თქმით, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი მატერიალურად კარგად უზრუნველყოფილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ევრონიუს საქართველოს ტელევიზიასთან. ასეთი კავშირი სატელევიზიო მაუწყებლობასთან, რა თქმა უნდა, დადებითად აისახება როგორც დაწესებულებაზე, ისე სტუდენტებზე. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი იყო შთაბეჭდილების ქვეშ პროგრამის ხარისხითა და მასში ჩართული პერსონალით. ასევე კარგი შთაბეჭდილება დატოვა პროგრამის ხელმძღვანელმა, რომელიც აქტიურად იყო ჩართული პროგრამის განვითარების პროცესში. იყო ბევრი მიმართულება, რომლის მიხედვითაც პროგრამა სრულ შესაბამისობაში იყო. მაგალითად, პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების, სტუდენტების შეფასებების, რესურსების, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის, პროგრამის მონიტორინგისა და ა.შ. კუთხით. ედრიან ჰედლანდის თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც გამოიკვეთა ამ შეფასების დროს იყო ის, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა საბაკალავრო პროგრამა „მასობრივ კომუნიკაციაში“, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენდა „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო პროგრამას. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში განაცხადა, რომ პროგრამა თავისი შინაარსით წარმოადგენდა არა „ჟურნალისტიკის“ საბაკალავრო პროგრამას, არამედ „მასობრივი კომუნიკაციის“ საბაკალავრო პროგრამას. შესაბამისად, ამ საკითხის გადაწყვეტა უკვე აკრედიტაციის საბჭოს პრეროგატივაში შედიოდა და სცილდებოდა ექსპერტთა ჯგუფის უფლებამოსილებას. თუ ეს პროგრამა დარჩება „მასობრივი კომუნიკაციის“ სახით, მაშინ უნდა შეიცვალოს გარკვეული სტრუქტურული საკითხები. მაგალითად, შემოთავაზებული უნდა იყოს სასწავლო კურსი „შესავალი მასობრივ კომუნიკაციაში“. მნიშვნელოვანია დეტალური და ყოვლისმომცველი გარე შეფასება. ასევე რეკომენდებულია მეტი ქართულენოვანი მასალების გამოყენება პროგრამაში. მისი თქმით, პროგრამის მიმართ გაიცა ექვსი რჩევა, რომელიც ეხებოდა რიგ განსავითარებელ საკითხებს. მაგალითად, რჩევა გაიცა შეფასების სისტემის გაუმჯობესებასთან, მეტი მასობრივი დოქტორის რეკრუტირებასთან, ტრენინგების ჩატარებისთან და მემორანდუმების გაზრდასთან დაკავშირებით. ექსპერტმა მაგდა მემანიშვილმა დაამტკიცა, რომ როდესაც ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენელს დაუსვეს კითხვა თუ ვის ამზადებდა აღნიშნული პროგრამა, მან უპასუხა, რომ ჟურნალისტებს. რა თქმა უნდა, ეს გასაკვირი არც იყო იმიტომ, რომ პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ჟურნალისტიკაზე იყო აქცენტირებული. რეკომენდაციების გაცემა მხოლოდ კვალიფიკაციამ გამოიწვია. ამრიგად, ბოლო წლების ტენდენცია მიანიშნებს იმაზე, რომ ეს ორი მიმართულება ერთმანეთს ძალიან დაშორდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით კერესელიძემ, აკრედიტაციის საბჭოს წევრებს გაუზიარა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ დოკუმენტი. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამა ამ დოკუმენტში მოცემულია ვიწრო

სფეროს ნაწილში 032 „ჟურნალისტიკა და ინფორმაციის“ სახით, ხოლო დეტალურ სფეროში აღნიშნულია, რომ „ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა“ შეისწავლის თეორიასა და პრაქტიკას, როგორც „მასობრივი კომუნიკაციის“ სფეროს ნაწილს. შესაბამისად, მასობრივი კომუნიკაციის სფერო არის უფრო ფართო დისციპლინა, ვიდრე ჟურნალისტიკა. როგორც თსუ-ში, ისე სტუ-ში მსგავსი პროცესები წარმართულა და კვალიფიკაცია ჩანაცვლებულა მასობრივი კომუნიკაციით. ეს დოკუმენტი ანიჭებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აკადემიურ თავისუფლებას (აკადემიური თავისუფლების პრინციპი), რომ თვითონ გადაწყვიტოს პროგრამის კვალიფიკაცია. „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ დოკუმენტის მიხედვით მასობრივი კომუნიკაციის სფეროს ნაწილია ჟურნალისტიკა. ჟურნალისტიკასა და რეპორტიორობას საქმე აქვს ტექსტის ფორმულირებასა და ინფორმაციის (ამბის) შინაარსთან. აღნიშნული პროგრამის სახელია "მულტიმედია ჟურნალიზმი", რომელიც მუშაობს მულტიმედია ჟურნალებით და იყენებს სხვადასხვა სოციალურ პლატფორმას, კერძოდ, „Youtube“-ს, „Tiktok“-ს, „Facebook“-ს, „Twitter“-ს და ა.შ.. სტუდენტი ქმნის თავის პროფილს, რომელსაც უნდა ჰქონდეს ფართო არჩევანი საკუთარი პროფილის შესაქმნელად. შესაბამისად, დაწესებულებამ პროგრამაში კომპონენტები ისე დააინტეგრირა, რომ სტუდენტს აქვს თავისი პროფილის ფორმირების მრავალფეროვანი არჩევანი. უნივერსიტეტი სთავაზობს 24 კრედიტიან ვლოგს, საიდანაც საჭიროა ორი 12 კრედიტიანი „ბუქ“ კომპონენტის აღება. იგივე პრინციპი მოქმედებს მედეა სახელოსნოებშიც, რომლებშიც მოცემულია „პოდკასტი“, „პროდიუსინგი“, „მობილური ჟურნალისტიკა“, „დოკუმენტური ფოტოგრაფია“ და ა.შ. ეს არის ის სასწავლო საკითხები, რომლებიც მასკომუნიკაციაში იდეალურად ჯდება. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ერთ პროგრამაში ორი კვალიფიკაციის მინიჭება შეუძლებელია. შესაბამისად, არჩევანის გაკეთება დაწესებულების ვალდებულებაა და უცნაურს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტმა კვალიფიკაციის მისანიჭებლად საკუთარ თავზე უფრო ფართო დისციპლინის განხორციელების პასუხისმგებლობა აიღო. პროგრამის ხელმძღვანელმა, მარინა ვაშაყმაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას არაფერი საწინააღმდეგო არ ჰქონდა ჟურნალისტიკის პროგრამის განხორციელების, თუმცა როდესაც ამ საკითხზე მიმდინარეობდა მუშაობა, დაწესებულებამ კონსულტაცია გაირა ჟურნალიზმისა და მასკომუნიკაციის სკოლის დამფუძნებელთან - ჯონ ვაქსონ ჰამილტონთან, რომელმაც განაცხადა, რომ "მულტიმედია ჟურნალიზმის" პროგრამის განხორციელება უფრო ეფექტური იქნებოდა დაწესებულებისთვის, ვიდრე „ჟურნალისტიკის“, რადგან მასობრივი კომუნიკაციის სფერო არის უფრო ფართო დისციპლინა, ვიდრე ჟურნალისტიკა. მარინა ვაშაყმაძემ განაცხადა, რომ პროგრამაზე ის მომუშავე აკადემიური პერსონალია, რომელსაც საქართველოში მასკომუნიკაციის სწავლება შეუძლია. სავსებით მისაღებია ის წუხილი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა, კერძოდ, შეძლებდა თუ არა სტუდენტი ამ პროგრამის დამთავრების შემდეგ დასაქმებას. რა თქმა უნდა, სტუდენტი ამ პროგრამის დამთავრების შემდეგ შეძლებს დასაქმებას. შესაბამისად, ამიტომაც აირჩია უნივერსიტეტმა "მულტიმედია ჟურნალიზმის" პროგრამის განხორციელება, რადგან ეს უფრო ფართო სფეროს წარმოადგენდა, ვიდრე ჟურნალისტიკა. დაწესებულებამ აღნიშნული პროგრამის შექმნისას იხელმძღვანელა ისეთი უნივერსიტეტის პროგრამებით, როგორებიცაა შარჟას და კატარის უნივერსიტეტის "მულტიმედია ჟურნალიზმის" პროგრამები. პროგრამაში ისწავლება „მასკომუნიკაციის საფუძვლები“, რომელსაც კითხულობს ნიკო ნერგაძე და აქვს მაგისტრის ხარისხი ამ მიმართულებით. ასევე პროგრამაში ისწავლება „სტრატეგიული კომუნიკაციები“, რომელსაც კითხულობს ნუკა კეკელია და მასაც აქვს მაგისტრის ხარისხი ამ მიმართულებით. პროგრამაში, სადაც წერია „მედია“, მასობრივ კომუნიკაციას გულისხმობს, რადგან ეს სიტყვა გამოიყენება ფართო გაგებით. ნიკო ნერგაძემ მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „მულტიმედია კომუნიკაციას“ თავიდან ერქვა „კომუნიკაციის შესავალი“. გაუგებრობა გამოიწვია იმან, რომ პროგრამაში ეს საგანი სხვა სახელწოდებით სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსია, რომელიც უკეთესად ასახავს შინაარს იმ ადამიანისთვის, რომელიც არ სწავლობს ჟურნალისტიკასა და მასკომუნიკაციაზე. დავით

კერესელიძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ უნივერსიტეტი არ იყო წინააღმდეგი იმ შენიშვნებისა, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფმა გასცა. უნივერსიტეტი არ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც მისანიჭებელი კვალიფიკაციის შეცვლას ეხებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამაზე მიღების წინაპირობად მითითებულია უცხო ენის B2 დონეზე ცოდნა. სწავლების ენას წარმოადგენს ქართული ენა. მისი თქმით, პროგრამაში არის ისეთი სილაბუსები, სადაც სავალდებულო ლიტერატურად მხოლოდ ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები არის მითითებული. მაგალითად, „ხელოვნური ინტელექტის გამოყენების“, „მედეა ინტერპრენერშიპის“ და „კრიტიკული აზროვნების“ სასწავლო კურსებში. მან აღნიშნა, რომ ლიტერატურის კუთხით ეს დარგი ნამდვილად პრობლემურია, თუმცა არსებობს ამ პრობლემის გადაჭრის გზაც. მაგალითად, როდესაც პროფესორი აუდიტორიაში შესვლამდე შექმნის ქართულ ენაზე საკითხავ მასალას (ე.წ. რიდერს). მას აინტერესებდა, რა უშლიდა ხელს აღნიშნულ სასწავლო კურსებში რიდერის შექმნას. ნინო ჭალაგანიძემ განაცხადა, რომ სასწავლო კურსებიდან ზოგიერთს კვირების განმავლობაში არ ჰქონდა არც სავალდებულო ლიტერატურა და არც დამხმარე მასალა მითითებული (მაგალითად, „სოციალური მეცნიერების საფუძვლები“). ასევე იყო ისეთი შემთხვევაც, როდესაც „მედიჩეკერიდან“ იყო მითითებული სტატიები. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი და „მედიჩეკერიდან“ მითითებული სტატია წარმოადგენდა თუ არა სასწავლო რესურს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსი არაჩვეულებრივად იყო დატვირთული გვერდების მიხედვით სასწავლო მასალებით, ხოლო ზოგიერთი არა. მაგალითად, „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“ და „ახალი ამბების ჟურნალისტიკა“. მას აინტერესებდა, რა იყო ამის მიზეზი. ასევე ფინალური პროექტი პრაქტიკულ კომპონენტს წარმოადგენდა თუ კვლევით პროექტს. დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით კერესელიძემ „ხელოვნური ინტელექტის“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს საგანი ისწავლებოდა მესამე წელს. ინგლისურ ენასთან დაკავშირებით უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ მკაცრი მოთხოვნა. B1 არის პროგრამაზე ჩაბარების დონე. თუ სტუდენტს არ ექნება უცხო ენის მაღალი დონე, მაშინ მას უნივერსიტეტი შესთავაზებს „უცხო ენა 1“, „უცხო ენა 2“ და „უცხო ენა 3“ სასწავლო კურსების გავლას. პროგრამაში არსებული დარგობრივი ინგლისური ენა გულისხმობს როგორც B2 დონის, ისე დარგობრივი ძირითად ტერმინოლოგიის შესწავლას. რა თქმა უნდა, ამ მხრივ ეს არის კარგი შენიშვნა, რადგან არ მოხდეს ისეთი შემთხვევა, რომ სტუდენტს არ ჰყოფნიდეს ენობრივი კომპეტენცია. დაწესებულება საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს სთავაზობს „Bridging Course“-ს, რომელიც დაეხმარება ენის გაუმჯობესებაში. უნივერსიტეტს შეეძლო დაეწესებინა აკადემიური პერსონალისთვის წიგნის გვერდების მითითების ვალდებულება, თუმცა ყველასთვის ცნობილია, რომ ყველა პროფესორს არ აქვს ერთგვაროვანი მიდგომა ამასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სილაბუსები რომ ერთმანეთისაგან განსხვავდება იმაზე მიაჩნებოდა, რომ დაწესებულებაში მოქმედებს აკადემიური თავისუფლების პრინციპი. მარინა ვაშაყმაძემ „მედიჩეკერთან“ დაკავშირებით აღნიშნა, რომ სასწავლო კურსში ეს შეიძლება გამოყენებულიყო მხოლოდ დამხმარე მასალად. მისი თქმით, დაწესებულებამ „ლუნდის უნივერსიტეტიდან“ მოიწვია პროფესორი ლაშა ქავთარაძე „ხელოვნური ინტელექტის“ კურსის წასაკითხად. ის ასევე უზრუნველყოფდა რიდერების ქართულად შექმნას. მისი თქმით, სასწავლო კურსი „სოციალური მეცნიერების საფუძვლები“ შეადგინა საბა ჩიხლაძემ, რომელმაც უზრუნველყო აღნიშნულ კურსში ლინკების მითითება. შესაბამისად, აღნიშნული საგანი არ არსებობს არც სავალდებულო ლიტერატურის და არც დამხმარე მასალის გარეშე. ნინო ჭალაგანიძემ განაცხადა, რომ მისთვის ხელმისაწვდომ სილაბუსში ეს საგანი იყო მოცემული სავალდებულო ლიტერატურისა და დამხმარე მასალის გარეშე. შესაბამისად, კარგი იქნებოდა თუ დაწესებულება გააზიარებდა იმ სილაბუსს, რომელშიც იქნებოდა მითითებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა. ფინალურ პროექტთან დაკავშირებით განაცხადა,

რომ ის შეიცავდა კვლევით ელემენტებს. ნინო ჭალაგანიძემ დაწესებულებას დამაზუსტებელი კითხვით მიმართა. მას აინტერესებდა, თუ ფინალური პროექტი შეიცავდა კვლევით ელემენტებს, მაშინ რატომ იყო მასში მეთოდოლოგიის არგუმენტაცია კრიტერიუმების გარეშე მოცემული. დავით კერესელიძემ უპასუხა, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე იყო მოცემული წერიტი კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები. მისი თქმით, სილაბუსში იმიტომ არ იყო მითითებული ეს კრიტერიუმები, რომ ისინი არის ზოგადი და ვრცელდება ყველა საგანზე. საბჭოს წევრმა, გოჩა თუთბერიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რატომ გახდა საჭირო „თამაშის თეორიის“ სასწავლო კურსის არსებობა აღნიშნულ პროგრამაში. ასევე რამდენად მზად იქნებოდა სტუდენტი ასეთი რთული საგნის დასაძლევად. დავით კერესელიძემ უპასუხა, რომ ეს სასწავლო კურსი არის მოცემული არჩევით სასწავლო საგანთა ჩამონათვალში. ეს და სხვა მსგავსი საგნები პროგრამაში არსებობს მხოლოდ მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად. საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, დასკვნის მერვე გვერდზე მოცემული იყო შემდეგი: „შემოთავაზებულია საბაკალავრო პროგრამა მასობრივ კომუნიკაციაში, მაგრამ ფაქტობრივად, რაც წარმოდგენილია, დიდწილად შეესაბამება ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამას.“ 1.1 ქვესტანდარტი შეფასდა სრულ, ხოლო 1.2 ქვესტანდარტი მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. ექსპერტები აღნიშნავენ შემდეგს: „სწავლის შედეგები არსებული სახით ზედმეტად კონცენტრირებულია ჟურნალისტიკის სფეროზე და არ მოიცავს საკმარის მოთხოვნას მასობრივი კომუნიკაციის უფრო ფართო სპექტრის შესახებ. ამრიგად, პროგრამის სწავლის შედეგები საჭიროებს კორექტირებას, რათა მოერგოს მასობრივი კომუნიკაციისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების შეძენას, როგორც ეს მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამას შეეფერება.“ მისი თქმით, ექსპერტები 1.4 ქვესტანდარტში საუბრობენ იმის შესახებ, რომ საჭიროა გადაიხედოს პროგრამის სტრუქტურა და ძირითადი სწავლის სფეროსთვის შესაფერისი საგნები გადავიდეს არჩევითიდან სავალდებულო საგანთა ჩამონათვალში. ასევე დაემატოს ახალი საგნები. 1.5 ქვესტანდარტის ნარატივში ექსპერტები აღნიშნავენ იმასაც, რომ საჭიროა საგნების ხელახალი იდენტიფიცირება განახლებული სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად. მას აინტერესებდა, ყოველივე ამის შემდეგ არსებული პროგრამა გადიოდა თუ არა კვალიფიკაციაზე. ექსპერტმა მაგდა მემანიშვილმა აღნიშნა, რომ ჟურნალისტიკა იყო მასობრივი კომუნიკაციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. ჟურნალისტური უნარ-ჩვევების დაუფლებით ადამიანი გადის მასობრივი კომუნიკაციის გარკვეულ დონეზე. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი არ ითხოვდა კვალიფიკაციის შეცვლას. მასობრივი კომუნიკაციის სპეციალისტმა შეიძლება გააკეთოს რეკლამა, ნებისმიერი საჯარო გამოსვლის ტექსტი და ა.შ.. შეიძლება ადამიანს გაუკვირდეს, მაგრამ სასტამბო საქმეც მასობრივ კომუნიკაციაში შედის. ეს არის ისეთი პროგრამა, რომლის სწავლის შედეგები და მიზანი კონცენტრირებულია არა მასობრივ კომუნიკაციაზე, არამედ ჟურნალისტიკაზე. პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებას ნამდვილად ჰქონდა შემოთავაზებული მთელი რიგი საგნები მასობრივი კომუნიკაციიდან, თუმცა საერთო ჯამში იყო მომავალ ჟურნალისტის აღზრდაზე ორიენტირებული. ის საგნები, რომლებიც აქცენტირებულია მასობრივ კომუნიკაციაზე, უნდა გახდეს სავალდებულო. ასევე სწავლის შედეგები უნდა დაფორმდეს ისე, რომ მასობრივ კომუნიკაციაზე გაკეთდეს აქცენტი. დავით კერესელიძემ პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მაშინ, როდესაც პროგრამაში საუბარია „შემოქმედებით უნარებზე“ (ვიდეოგრაფიაზე, ვიდეომონტაჟზე და გრაფიკულ დიზაინზე), ეს იმას ნიშნავს, რომ „შემოქმედებით უნარები“ მასობრივ კომუნიკაციის სწავლის შედეგებზე გადის. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს არის კარგი პროგრამა და გადის კვალიფიკაციაზე. ექსპერტმა მაგდა მემანიშვილმა განაცხადა, რომ კვალიფიკაციის ნაწილში ექსპერტთა ჯგუფი ვერ გასცემდა რჩევას, რადგან კვალიფიკაციასთან შესაბამისობა მოითხოვდა პროგრამის სწავლის შედეგებისა და მიზნების მასობრივ კომუნიკაციაზე აქცენტირებას. ამრიგად, არსებული სახით წარმოდგენილი პროგრამა ნაწილობრივ გადის კვალიფიკაციაზე. საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებასა და ექსპერტთა

ჯგუფს. მას აინტერესებდა, რა დრო დასჭირდებოდა უნივერსიტეტს გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად და პროგრამის შესაბამისობაში მოსაყვანად. ექსპერტმა მაგდა მემანიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს ერთი-ორი თვე სრულად ეყოფოდა პროგრამის შესაბამისობაში მოსაყვანად და რეკომენდაციების შესასრულებლად. დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებისათვის ძალიან გულდასაწყვეტი იქნებოდა ის ფაქტი თუ პროგრამა ვერ მიიღებდა აკრედიტაციას. მისი თქმით, ყოველივე ამის შემდეგ თუ ექსპერტმა ჯგუფი ფიქრობდა, რომ პროგრამა ვერ გადიოდა სწავლის შედეგებზე, მაშინ ეს ძალიან დიდი შეურაცხყოფა იქნებოდა დაწესებულებისთვის. საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტს წარმოდგენილ საბუთებში ჰქონდა გარკვეული ტექნიკური ხარვეზები. მაგალითად, სამინისტროს დასახელებაში, პროგრამის ქართულ და ინგლისურ ვერსიებს შორის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში და ა.შ. თამარ ლომინაძემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რომელ დოკუმენტში იყო გაწერილი საგნებს შორის წინაპირობები. ექსპერტმა მაგდა მემანიშვილმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო, რომ ამის წარმოდგენა აღარ ჩაითვალა საჭიროდ, თუმცა ყველა სილაბუსში მითითებული იყო საგნებს შორის წინაპირობები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:35

დასრულების დრო: 17:03

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "მულტიმედია ჟურნალიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27⁶ - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "მულტიმედია ჟურნალიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

განისაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სწავლის შედეგების ხელახალი ფორმულირება, ისე, რომ ხაზი გაუსვას მასობრივ კომუნიკაციას და არა მხოლოდ ჟურნალისტიკას;
- რეკომენდებულია სწავლის შედეგები სრულად მოვიდეს შესაბამისობაში სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან;

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი უნდა განახლდეს პროგრამის სწავლის შედეგების გადამუშავებისა და პროგრამის სტრუქტურის განახლების შემდეგ;
- მასობრივი კომუნიკაციის საფუძვლები, ან შესავალი მასობრივ კომუნიკაციასა და ჟურნალისტიკაში, უნდა დაემატოს პროგრამას, როგორც პირველი კურსის პირველი სემესტრის სავალდებულო საგანი, მისანიჭებელი კვალიფიკაციის მიხედვით.
- შემოთავაზებული პროგრამის სტრუქტურა უნდა გადაიხედოს და ძირითადი სწავლის სფეროსთვის, ანუ მასობრივი კომუნიკაციისთვის შესაფერის საგნებს, ნაცვლად არჩევითისა, მიენიჭოს სავალდებულო სტატუსი.
- რეკომენდებულია, პროგრამაში სავალდებულოდ ისწავლებოდეს სასწავლო კურსები მასობრივი კომუნიკაციის სფეროს შემადგენელი დარგების/საკომუნიკაციო არხების შესახებ: ბეჭდური, აუდიო, ტელემედია, ციფრული მედია; ასევე კინო, ბრენდინგი, რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობა.
- რეკომენდებულია, სავალდებულო კურსებად პირველსავე სემესტრებში ისწავლებოდეს: მასობრივი კომუნიკაციის შესავალი კურსი, აგრეთვე კურსი მასობრივი კომუნიკაციის თეორიების შესახებ, რაც სტუდენტს დაეხმარება, მიიღოს საფუძვლიანი ცოდნა სფეროს არსის შესახებ და წარმატებით შეასრულოს საბაკალავრო ნაშრომი.
- წარმოდგენილი სილაბუსები საჭიროებს დახვეწას და გადახედვას. მათში აღწერილი უნდა იყოს დამოუკიდებელი მუშაობისთვის განკუთვნილი აქტივობები, უნივერსიტეტის სილაბუსის ფორმის მოთხოვნების შესაბამისად.
- ყველა სილაბუსი მოითხოვს სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალს როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენებზე.
- სილაბუსებში მკაფიოდ უნდა იყოს წარმოდგენილი გამოცდებისა და შეფასებების სისტემა, მათ შორის გამოცდების ტიპი, ქულების განაწილება და შეფასების კრიტერიუმები, უნივერსიტეტის სილაბუსის ფორმის მოთხოვნების შესაბამისად.
- პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის რეკომენდებულია დეტალური და ყოვლისმომცველი გარე შეფასება.

რჩევები:

- პროგრამის შემუშავებისთვის მიზანშეწონილია დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე მეტი კადრის ჩართვა;
- პროფესორებისთვის დამატებითი ტრენინგების მოწყობა კვლევითი ნაშრომების შემუშავებაზე, რომლებიც განკუთვნილია გლობალურად ცნობილ სამეცნიერო ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად, როგორიცაა Scopus-ში ჩამოთვლილი ჟურნალები, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პროგრამას;
- სასურველია სტუდენტებს, რომელთაც სურთ მიიღონ ბაკალავრის ხარისხი მასობრივ კომუნიკაციაში, შესთავაზონ არჩევითი საგნები, როგორიცაა ბრენდინგი, კოპირაითინგი და კრეატიული კომუნიკაცია;

- სასურველია NVU-მ ხელი მოაწეროს მემორანდუმებს პროფესიული სტაჟირების შესახებ როგორც მედია ორგანიზაციებთან, ასევე სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებთან, რათა ამ პროგრამის სტუდენტებს მისცენ შესაძლებლობა მიიღონ სტაჟირება რეალურ სამუშაო ადგილებზე. ასევე, პროგრამას უნდა დაემატოს პროფესიული სტაჟირება (თუნდაც არჩევითი სტატუსით);
- ხარისხის კულტურის კომიტეტმა სილაბუსები უფრო ყურადღებით განიხილოს არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

2. მეორე საკითხი: შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს "ბიზნეს ადმინისტრირების" საბაკალავრო, "ბიზნეს ადმინისტრირების" საბაკალავრო ინგლისურენოვანი, "გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის" საბაკალავრო ინგლისურენოვანი, "მენეჯმენტის" საბაკალავრო და "ბიზნეს ადმინისტრირების" სამაგისტრო, "ბიზნეს ადმინისტრირების" სამაგისტრო ინგლისურენოვანი, "აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA)" სამაგისტრო, "აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების (EMBA)" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

- 1.საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება- ბიზნესის ადმინისტრირება
- 2.საფეხური- ბაკალავრიატი
- 3.სწავლების ენა-ქართული
- 4.მისანიჭებელიკვალიფიკაცია-ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
- 5.დეტალურისფეროს კოდი-0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

- 1.საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება- ბიზნესის ადმინისტრირება
- 2.საფეხური- ბაკალავრიატი
- 3.სწავლების ენა-ინგლისური
- 4.მისანიჭებელიკვალიფიკაცია- ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
- 5.დეტალურისფეროს კოდი-0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

- 1.საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება- გლობალური ბიზნესის მენეჯმენტი
- 2.საფეხური- ბაკალავრიატი
- 3.სწავლების ენა-ინგლისური
- 4.მისანიჭებელიკვალიფიკაცია-ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
- 5.დეტალურისფეროს კოდი-0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

- 1.საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება- ბიზნესის ადმინისტრირება
- 2.საფეხური- მაგისტრატურა
- 3.სწავლების ენა-ქართული
- 4.მისანიჭებელიკვალიფიკაცია-ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
- 5.დეტალურისფეროს კოდი-0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

- 1.საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება- ბიზნესის ადმინისტრირება
- 2.საფეხური- მაგისტრატურა
- 3.სწავლების ენა-ინგლისური
- 4.მისანიჭებელიკვალიფიკაცია- ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

5.დეტალურისფეროს კოდი-0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

1.საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება- აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA)

2.საფეხური- მაგისტრატურა

3.სწავლების ენა-ქართული

4.მისანიჭებელიკვალიფიკაცია- აღმასრულებელიბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

5.დეტალურისფეროს კოდი-0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

1.საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება- აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირება (EMBA)

2.საფეხური- მაგისტრატურა

3.სწავლების ენა-ინგლისური

4.მისანიჭებელიკვალიფიკაცია-აღმასრულებელიბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

5.დეტალურისფეროს კოდი-0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

1.საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება- მენეჯმენტი

2.საფეხური- ბაკალავრიატი

3.სწავლების ენა-ქართული

4.მისანიჭებელიკვალიფიკაცია-მენეჯმენტის ბაკალავრი

5.დეტალურისფეროს კოდი-0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ (ებ) მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

საერთაშორისო ექსპერტი, ანუ ანა ჯოსანი, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამები. მისი თქმით, პროგრამების მიმართ გაიცა ორი ზოგადი რეკომენდაცია და ცამეტი რჩევა, ხოლო პროგრამების სპეციფიკის მიხედვით თორმეტი რეკომენდაცია და ოცდაექვსი რჩევა. ზოგადი რეკომენდაციები ეხებოდა ორ მიმართულებას. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა რიგი კურსების შემთხვევაში ლიტერატურის განახლებას უახლოესი წიგნებით, ხოლო მეორე რეკომენდაცია ეხებოდა არსებული პროგრამების მრავლისმომცველი თვითშეფასების განხორციელებას, რომელშიც მოცემული

იქნებოდა სტუდენტთა პროგრესია აკადემიური წლების მიხედვით ხუთი წლის განმავლობაში. მისი თქმით, „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის მიმართულებით არ იყო რეკომენდაციები გაცემული, რადგან პროგრამა სრულ შესაბამისობაში იყო სტანდარტებთან. „გლობალური მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამის მიმართ გაცია რიგი რეკომენდაციები, რომლებიც ეხებოდა პროგრამაში იმპორტ-ექსპორტის მენეჯმენტის დამატებას კურსების სახით. ასევე მენეჯმენტის საფუძვლების დამატებას და რიგი წინაპირობების განსაზღვრას კურსებში. „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდებული იყო ლიტერატურის განახლება ისეთ სასწავლო კურსებში, როგორებიცაა „ბიზნეს კვლევის მეთოდები“, „პროექტების მართვა და კონსულტირება“, „ბლოკჩეინ ტექნოლოგია თანამედროვე საწარმოში“, „მწვანე დღის წესრიგი“ და „მარკეტინგული ანალიზი“. აღმასრულებელ სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებით გაიცა ისეთი რეკომენდაცია, რომ პროგრამას მოეცვა ბიზნესის ისეთი სფეროები, როგორებიცაა „მარკეტინგი“ და „ფინანსები“. ასევე რეკომენდებული იყო ლიტერატურის განახლება სხვადასხვა კურსებზე და დამატებით სავალდებულო საგნებში ფინანსების, სტატისტიკისა და პროგნოზირების ელემენტების ჩართვა. ინგლისურენოვან პროგრამაში დამატებით რეკომენდებული იყო ინგლისური ენის B2 დონეზე აუცილებლობის მკაფიოდ განსაზღვრას პროგრამის წინაპირობებში. მისი თქმით, „მენეჯმენტის“ საბაკალავრო პროგრამის მიმართ გაცემული რეკომენდაცია ძირითადად ეხებოდა ლიტერატურის განახლებას 16 სხვადასხვა კურსში. ანუ ანა ჯოსანმა ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამების შეფასება კონცენტრირებული იყო როგორც ძლიერი, ისე გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებაზე. ასეთი შეფასება დაწესებულებას დაეხმარება ძლიერი ბიზნესის ადმინისტრირების ბაზის შესაქმნელად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ნონა ზუმბაძე, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, დასკვნის მიღების დღიდან დაწესებულებამ დაიწყო პროგრამების მიმართ გაცემულ რეკომენდაციებსა და რჩევებზე მუშაობა. რეკომენდაციების ერთი ნაწილი უკვე გათვალისწინებულია, ხოლო მეორე ნაწილზე მიმდინარეობს მუშაობა. მისი თქმით, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი ორიენტირებულია განვითარებაზე როგორც ინსტიტუციურ, ისე პროგრამის დონეზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს 1.5.6.2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, მიღწევადი იყო თუ არა ამ რეკომენდაციის პირობებში პროგრამის შედეგები. გიორგი ღაღანიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ „გლობალური მენეჯმენტის“ პროგრამაში საერთოდ არ იყო წარმოდგენილი „მათემატიკა“, თუმცა საბოლოო ჯამში კვალიფიკაციის მინიჭება ხდებოდა 0413-ით. მას აინტერესებდა, რამდენად რელევანტური იქნებოდა ამ პირობებში მოცემული პროგრამის შესრულება. მისი თქმით, „საერთაშორისო ვაჭრობის“ სასწავლო კურსი, რომელიც იკითხება კრუგმანის სახელმძღვანელოს მიხედვით, არ აქვს წინაპირობა. მას აინტერესებდა, წინაპირობის გარეშე როგორ შეიძლებოდა ასეთი რთული კურსის სწავლება სტუდენტისთვის. ასევე რამდენად მიიღწეოდა აღმასრულებელი ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების ამოცანები. საერთაშორისო ექსპერტმა, ანუ ანა ჯოსანმა, 1.5.6.2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტრუქტურულად პრობლემა არ არსებობდა სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, თუმცა უნარების ხასიათზე იყო გარკვეული შენიშვნა. შესაბამისად, თუ დარგობრივად მოხდება ამ კურსების ინტეგრირება, მაშინ სწავლის შედეგები სტუდენტს მეტად დაეხმარება გამოწვევების დამღევაში. ბიზნესის ადმინისტრირების (ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი) და გლობალური ბიზნესის მენეჯმენტის (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელმა, რუსუდან ბერიაშვილმა „გლობალური მენეჯმენტის“ პროგრამასთან

